

საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაციის ვიზიტი რუმინეთში

2009 წლის 21-24 სექტემბერს რუმინეთის საანგარიშო სასამართლოს თავმჯდომარის ნიკოლაე ვაკაროიუს მიწვევით საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი, თავმჯდომარის პირველი მოადგილე შოთა თარხნიშვილი. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი გიორგი ბოტკოველი, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ჯერენაშვილი და ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ნინო გოგიაშვილი ოფიციალური ვიზიტით რუმინეთში იმყოფებოდნენ.

ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს კონტროლის პალატასა და რუმინეთის საანგარიშო სასამართლოს შორის ურთიერთობების გაღრმავება და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების დასახვა.

საქმიანი შეხვედრები შედგა რუმინეთის საანგარიშო სასამართლოში და მის რეგიონალურ ოფისებში, რუმინეთის სენატსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები შეხვდნენ რუმინეთის საანგარიშო სასამართლოს პრეზიდენტს ნიკოლას ვაკაროიუსს. მხარეებმა ისაუბრეს ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივებზე, რუმინეთის საანგარიშო სასამართლოს გამოცდილებაზე, რუმინეთის საანგარიშო სასამართლოს მიერ რეფორმის პერიოდში დაშვებულ შეცდომებსა და მიღწევებზე.

რუმინეთის სენატის პრეზიდენტ ჯეოანა მირკეასთან შეხვედრისას ისაუბრეს რუმინეთსა და საქართველოს შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობებსა და იმ პროგრამებზე, რომლის განხორციელებაც სურს რუმინეთის მხარეს საქართველოში.

დელეგაციის წევრებმა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის კონტროლსა და აუდიტზე ისაუბრეს არჯისისა და პრაჰოვას რეგიონების საანგარიშო სასამართლოების თავმჯდომარეებთან შეხვედრისას. არჯისის მხარის გუბერნატორთან შეხვედრისას კი დასახეს არჯისის რეგიონისა და იმერეთის მხარის მომავლი თანამშრომლობის გეგმები.

დელეგაციის წევრები შეხვდნენ რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანს საერთაშორისო საკითხებში კოსტეა დურუსს. საუბარი შეეხო რუმინეთსა და საქართველოს შორის უკვე ჩამოყალიბებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს და სამომავლო პერსპექტივებს.